№ 13
ხუთშაბათი, 18 იანვარი 1896

1877—1896

№ 13
ხუთშაბათი, 18 იანვარი 1896

ივერია

ფასი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
01	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
სიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვი გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

გამგეობა ქართველთა ამხანაგობისა ამით აცხადებს, „რომ თებერვლის პირველიდგან 1896 წ. წევრთ ამხანაგობისას შეუძლიანთ მიიღონ ხვედრი დივიდენდი.

3—3

ტფილისი, 18 იანვარი.

ამ რამდენისამე დღის წინად ჩვენმა საზოგადოებამ ერთი ფრიად დიდი და მრავალ-მნიშვნელოვანი საგანი გარდასწყვიტა: დეკემბერში მომხდარმა სკოლის საზოგადოების საგანგებო კრებამ დაადგინა, სათავად-აზნაურო სასწავლებელი რვა-კლასიან გიმნაზიად გადააკეთოს. მართალია, ზემოხსენებულ კრებას მძიმე საგანი ჰქონდა გადასაწყვეტი, მაგრამ, მეორეს მხრით, იგი ადვილიც იყო. დამსწრე საზოგადოებას ერთ-ერთი გზა უნდა აერჩია: ან კლასიკური, ან რეალური—ეს იყო საგნის სიძნელე; მხოლოდ რა გზაც უნდა აერჩია არც ერთი არ იქნებოდა საზარალო. კლასიკურიც და რეალური სისტემაც სიკეთეს გვიქადის და ამ სიკეთეს მით უფრო მალე შევიძენთ, რაც უფრო მალე გარდავსწყვეტდით ერთი მიგველო თუ მეორე,—ეს იყო სიადვილე საგნისა.

ამ შემთხვევაში ჩვენი საზოგადოება, ცოტა არ იყოს, იმ დამშეულ კაცს მოგაგონებდათ, რომელსაც მთელი ხუთი დღე არა ეჭამა-რა. მოადგა ეს უბედური დამშეული თქვენ კარს და პური გთხოვათ. თქვენ დიდის თანაგრძნობით და გულმტკივნეულობით მიიღეთ იგი, მოისვით გვერდით, მთელი ორი დღე არ მოგიშორებიათ, მაგრამ... პური-კი მაინც ვერ აჭამეთ. ვერ აჭამეთ იმიტომ-კი არა რომ გშურდათ მისთვის პურის ერთი ნაჭერი, არა, იმიტომ რომ ორ დღეში ვერ გადაგეწყვიტათ—დამშეულისთვის ჩიხირთმა გეჭმიათ თუ დედლის წვენი. მართალია მეცნიერება და გონივრება გეტყოდათ, რომ დამშეულ კუჭს დედლის წვენი უფრო მოუხდებაო, მაგრამ იგივე გონება გეტყოდათ, რომ მაგ უბედურს თუ არ გინდა რომ შემოგაკვდეს აჭამე კი და მალეც აჭამე და—ერთი იქნება თუ მეორე ორთავეს შეირგებს.

მე მოგახსენეთ, რომ ამ კაცის ბედს მოგაგონებდათ ჩვენი, სწავლა-განათლების სურვილით დამშეული საზოგადოება-მეთქი. აგერ რამდენი წელიწადია ვერ გადაგვეწყვიტა რა მივაწოდოთ ჩვენ მოზარდ თაობას. თუ ეხლა გადაწყდა, ჩვენ სიხარულის მეტი არა გვმართებს-რა. ჩვენ მოზარდ თაობისათვის ერთ-ერთი დამთავრებული სასწავლებელი იყო საჭირო და მას მიენიჭა ეს. ამიტომაც დღეს არ შევეხებით იმ გარემოებას, თუ რამდენად მართალი იყვნენ ისინი, ვინც სამეურნეო განათლებას მეორე პლასზედ აყენებდნენ ჩვენში, რა მართლა-და, უვიცობა გამოიჩინეს მათ სამეურნეო განათლების პრინციპებისა და რა უხერხულად ხსნიდნენ საგანსა. ეს არ შეადგენს დღევანდელ ჩვენ ტემას. ჩვენ გვსურს აქ ერთ გარემოებას შევეხოთ, რომელმაც თავი იჩინა როგორც ამ უკანასკნელ კრებებზედ ისე, უეჭველია, სხვაგანაც.

ამ საუკუნის მეორე ნახევრიდამ დაწყებული ჩვენი საზოგადოება საკვირველს ინტერესსა და სიყვარულს იჩენს სხვა-და-სხვა საზოგადო საქმისადმი. საზოგადო საქმემ, მისმა სამსახურმა, თითქო ყოველი სხვა ინტერესი შთანთქა. გადაწყვეტით შეიძლება ითქვას, რომ მანამ საქართველო ცოცხალ არს საზოგადო საქმისადმი ინტერესიც არ მოკვდება მასშიო, თვით ჩვენი ხალხია ამის თავდები... ვაი იმას, ვინც თავისს კერძო ინტერესებს მოტყუებით, საზოგადო ინტერესადგარდაჰქმნის: მაგალითები გვიჩვენებენ რომ ამნაირ ადამიანს ჩვენი ხალხი ზურგს შეაქცევს ხოლმე. ეს გარემოება იმის მომასწავებელია, რომ საზოგადოება, ხალხი ფხიზლობს,—და სადაც სიფხიზლეა—გამარჯვებაც ხომ იქ არის.

აი, ამიტომაც აუცილებლად მიგვაჩნია, რომ საზოგადოების სიფხიზლეს მისი ორგანოების სიფხიზლეც მოსდევდეს. ამითი იმისი თქმა-კი არ გვინდოდა რომ, ვითომ ეგ ორგანოები არ ასრულებენ თავის მოვალეობას წესიერად. ღმერთმა დაგვიფაროს ამნაირ უსაბუთო აზრისაგან. ვინც-კი თვალ-ყურს ადევნებს ჩვენში დაარსებულ საზოგადო დაწესებულებათა, მათ კომიტეტების და გამგეობათა მოქმედებას, იმათ დაუღალავ შრომას და საქმისადმი ერთგულებას—იგი ვერ დასწამებს მათ უწესოდ მოქმედებას. ჩვენ სულ სხვა რამეს თქმა გვინდა.

წინად, როდესაც საზოგადო საქმე ახლად იწყებოდა, როდესაც იგი მარტივი იყო, მაშინ საერო საქმის ერთის გეგმით მართვა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მაშინ სხვა-და-სხვა კომიტეტებსა და გამგებლებს ისეთი რთული საქმე არა ჰქონდათ, როგორც ღღესა აქვთ: არ ჰქონდათ უძრავი ქონება, არ ჰქონდათ თანხა, ვალები და საგნების სიმრავლე. ღღეს სულ სხვას ვხედავთ. ეხლა არამც თუ შეუძლებელია მაგალითად ბანკის მმართველებმა, სკოლის, წერა-კითხვის და თეატრის გამგეობამ ერთმანერთის განზრახვანი და მორიგი საქმენი იცოდნენ, არამედ თვითვეულს მათგანს უძნელდება თავისი საკუთარი საქმის წარმართვაც-კი. ეს-კი, ჩვენის აზრით, არ არის სასურველი და აი რატომ.

ამ ჟამად ჩვენში არსებულნი საზოგადო დაწესებულებანი ორ კატეგორიათ შეიძლება გავყოთ: პირველი საშუალებას ეძებს (სათავად-აზნაურო კრებები, ბანკები), მეორე-კი საგანს ასახელებს და განხორციელებაში მოჰყავს (წერა-კითხვის საზ., ღარიბ მოსწავლეთა დამხმარეველი კომიტეტი, დრამატ. საზოგ. და სხვ.). ყველა ამ საზოგადოების დაწესებულებას ერთი მთავარი აზრი აქვს—ჩვენი ერის სულიერი და ხორციელი კეთილ-ღღეობა და ამ აზრს თითქმის ერთის, ამასთანავე მცირედის საშუალებით ახორციელებს.

რაკი ასეა საქმე, მაშასადამე სასურველი არ უნდა იყოს, რომ ეგ ორგანოები ერთმანერთის მოქმედებას აფერხებდენ, უშლიდნენ. და ესეც ადვილია, ეს ადვილია, ეს ადვილია. ეს ადვილია, ეს ადვილია, ეს ადვილია. ეს ადვილია, ეს ადვილია, ეს ადვილია. ეს

კი აუცილებლად უნდა მოხდეს, თუ ერთმანერთს თვალ-ყურს არ ადევნებენ, ერთმანერთში შემუშავებულის გეგმით არ მუშაობენ. ჩვენის აზრით, ეს სახიფათო არის და მისი აცდენა ადვილი არის. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ყოველი საგანი, რომელიც წარმოდგენილი იქნება რომელიმე მათგანში—ყველამ, საერთოდ განიხილოს ხოლმე, ესე იგი საჭირო არის ჩვენმა კომიტეტებმა და გამგეობებმა, დრო გამოშვებით, როდესაც მძიმე საგნები იქმნება გარდასაწყვეტი, სულ პირველად თავიანთ შორის საერთო კრება მოახდინონ (соединенное присутствіе), იქ განიხილონ სხვა და-სხვა მხრით და მერე მოახსენონ ხოლმე თავიანთ საზოგადო კრებებს. ჩვენის აზრით, ამ ნაირ საერთო კრებას უნდა განეხილა საოთავად-აზნაურო სასწავლებლის პროექტი. ამავე კრებამ უნდა განიხილოს ოძისის სამეურნეო სასწავლებლის საგანი და აგრეთვე ქარვასლის ვალის გარდახდის საშუალება და სხვ. ამისთანეები; როდესაც ამნაირ კრებაზედ მომზადდება საგანი, მაშინ იგი ყოველ მხრივ იქმნება აწონილ-დაწონილი და მაშინ საზოგადოებასაც იმედი ექმნება, რომ იმისი დადგენილება აღსრულებაში მოვა.

რაღა თქმა უნდა, რომ სკოლიე კომიტეტი ყოველს ღონისძიებას იხმარს სისრულეში მოიყვანოს საზოგადო კრების დადგენილება და მოახერხებს კიდეც ამას; ამას მოითხოვს როგორც თვით კომიტეტის პრესტიჟი, ისე საზოგადო კრებისაც; ღმერთმა დაგვიფაროს ჩვეულებად გარდაგვექცეს, რომ საზოგადოების რაიმე დადგენილება არ მოვიყვანოთ სისრულეში: თუ ეს მოხდა, მაშინ უეჭველია წევრნი გულ-ცივობას და უხალისობას გამოიჩენენ საზოგადო საქმისადმი. საზოგადოების ყოველი გარდაწყვეტილება უთუოდ სისრულეში უნდა მოვიდეს. ეს პრინციპად უნდა გავიხადოთ. ამიტომაც არ არის სასურველი, რომ საზოგადოებას ისეთი რამ გარდააწყვეტინონ, რის ასრულებაც შეუძლებელია. როგორც ზემოდ ვამტკიცებდით, ეს-კი შესაძლოა მოხდეს ეხლა, თუ დრო გამოშვებით მძიმე საგნების განსახილველად არ მოვახდინეთ საერთო კრება სხვა და-სხვა საზოგადო დაწესებულებათა ორგანოებისა.

რასაკვირველია, რომ არავის ესაყვედურება, გიმნაზიის პროექტის განსახილველად რატომ საერთო კრება არ მოახდინესო. ეს სულ ახალი წინადადება არის, ჯერ გამოუცდელი—და, მაშასადამე, საყვედურიც არავის ეთქმის.

ამიერიდგან-კი, ვგონებთ, საჭირო იყოს ამნაირი საერთო კრება მოხდეს ხოლმე.

—ლი—გ.

ახალი ამბავი

—

*** ამას წინად ჩვენ გაზეთში იყო მოხსენებული, რომ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტევი მოსკოვის გენერალ-გუბერნატორად იქნება დანიშნულიო. ეხლა-კი, როგორც ისმის, კავკასიის მთავარ-მართებლად დანიშნულ იქნება გენერალი კუროპატკინი.

*** მის უდიდებულესობას სპარსეთის შაჰს ნასრ-ედინს მისსვლია მოწვევა მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათა მომავალ გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად. შაჰისთვის მარშრუტი უკვე შეუდგენიათ. ამ მარშრუტიდგანა სჩანს, რომ შაჰი სპარსეთიდგან ქ. ჯულფაზე მობრძანდება და ტფილისში ჩამოვა აპრილის შუა რიცხვებში.

*** ბუხარის ემირსწმირ-სეიდ-მირ-აბდულ-ახად-ხანს განუზრახავს სუხუმთან მამულის ყიდვა, სადაც სურს თავისთვის სახახლე ააშენოს და ზაფხულობით ამ ახალს სასახლეში იცხოვროს ხოლმე.

*** ქუთაისიდამ ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ ამ დღეებში სრულიად გადამწვარა იქაური სამხედრო კლუბი მთელის თავისის ავეჯეულობით და მდიდარ ბიბლიოთეკით.

*** ქუთაისის პოლიცმეისტერი ატყობინებს ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ იანვრის 6-ს მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელის სახლი გაუქურდავს მსახურს გულუას, რომელიც გაქცეულა და პოლიციას ჯერაც არ უპოვნია.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ კავკასიის რკინის გზის მმართველობას განუზრახავს ამ ახლო ხანში სახალხო მატარებლების ბაქოდამ პირ-და-პირ ბათუმამდე და ბათუმიდამ ბაქომდე მიმოსვლა დაარსოს, როგორც წინად იყო, რადგანაც რკინის გზა მოლითსა და ბელაგორს შუა ისე შეუკეთებიათ, რომ ღამეობით მატარებლების ამ ალაგებში გავლას შიში აღარა აქვს.

*** ყარსის რკინის გზის რელსების დაწყობას შეუდგებიან აპრილიდამ.

*** ჩვენ გვაუწყებენ, რომ ჩულურეთში (ტფილისში) ერთი შენობის საძირკვლის გათხრის დროს, საძირკვლის ორმოში ნავთს ჟონვა დაუწყვია. უსათუოდ ამ ალაგას რამდენიმე საჟენის სიღრმეზე ნავთის ძარღვია.

*** როგორც ხმა ისმისო, სწერს გაზეთი „ბირჟ. ვედ.“-ი, ფინანსთა სამინისტროს უარი უთქვამს სადგომებზე გარდასახადი შემოიღოს კავსიის ქალაქებში და ამის შესახებ არც თუ წინადადება წარუდგენია სახელმწიფო საბჭოშიო. ამ გარდასახადის შემოღება კავკასიაში 1897 წელზე ადრე არ მოხდებაო.

*** 14 იანვარს, ნაშუადღევის 3 სამ საათზედ, კავკასიის რკინის გზის მე 145-ე ვერსზე, როდესაც მეიჯარადრეს იოსებ ცხოვრებაძეს ქვა უნგრევია, ზავი ჩამოწოლილა და ქვეშ მოუტანია მუშები: გლეხი ივანე ტროტაძე, ტარასი დათუნაშვილი და იოსებ გაბუნია; პირველს მძიმედ დაუშავდა წელი და ფეხები, ხოლო დათუნაშვილმა და გაბუნიამ ველარ იცოცხლეს. („ნოვ. ობ.“).

*** ხუთშაბათს, 18 იანვარს, როგორც გაზ. «ნოვ. ობ.“-ეს შეუტყვია, მთავარმართებლის საბჭოში, სხვათა შორის, მსჯელობა ექნებათ იმის შესახებ, რომ ტფილისში გახსნან. 1) ერთი სამეურნეო-სამასწავლებლო სემინარია, რომელსაც აზრად ექნება მოამზადოს მასწავლებლები იმ ნ-ის მელვინეობის სკოლისათვის, რომლებიც განზრახვა აქვთ კავკასიაში გაჰხსნან და 2) ერთიც ღვინის დაყენების სკოლა; თვითეულს სკოლაში იქნება 60 მოწაფე.

გარდა ამისა: განხილულ იქნება საგანი იმის შესახებ, რომ ქუთაისის სამეურნეო სკოლა მელვინეობის სკოლად გადააკეთონ სამის სპეციალურის კლასსით, რომელშიაც მელვინეობის გარდა ასწავლიან შემდეგს საგნებს: ხილის მოყვანას, მებოსტნეობას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას, და ხელობას—კასრების კეთებას, მჭედლობა-ზეინკალობას და ღურგლობას.

*** იმ ქალაქებს, რომლებსაც შემცირებული ქალაქის თვით-მმართველობა მიენიჭათ, მაგ. სიღნაღს, დუშეთს, თელავსა, ახალციხეს უკვე შეუდგენიათ თავიანთ ამორჩეულ პირების სია და წარუდგენიათ ტფილისის გუბერნატორისათვის დასამტკიცებლად; მაგრამ ამ ხარჯთ-აღრიცხვას ჯერ გუბერნატორის ქალაქის საქმეთა პრისუტსტვიე განიხილავს და მხოლოდ დამტკიცების შემდეგ დაუბრუნდებათ უკან, რათა ყრილობა მოახდინონ და თავისი წარმომადგენელნი ამოირჩიონ. ყრილობათა პირველი სხდომა იმათ თავმჯდომარეობით მოხდება, რომელსაც თვით გუბერნატორი დანიშნავს სიაში მოხსენებულთ ამომრჩეველთა შორის. («ნოვ. ობ.“).

*** ამავე გაზეთის სიტყვით, ქვანახშირის მწარმოებელთა პირველი კრება განზრახულია 15 აპრილს მოხდეს ქუთაისშიო.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

—

თელავი. თელავის კლუბის დარბაზში სცენის მოყვარეთაგან გამართული იყო წარმოდგენა ამ თვის

დავინახავდით, რომ ვალერის დანაშაულში გარეშე პირობითაც საზოგადოებრივ მიზეზებსაც აქვს ადგილი. თუ ამ მოთხრობიდამ ეს ნათლად არა სჩანს, ყაზიბეგის სხვა ნაწარმოებთა განხილვა მაინც ამ აზრს გვიბადავს. ეს ცოტა არ იყოს ამსუბუქებს ვალერის დანაშაულს, მაგრამ დამნაშავე მაინც იგია, იგია მისთვის, რომ ვერ წინააღუდგა ამ პიროებებს, ვერ სძლია იგინი. ეს ყოველი კაცისაგან მოითხოვება, სულით ავადმყოფებს გარდა. განა ვალერის მეტი არ გატაცებულა გრძნობით, მაგრამ არავისთვის არაფერი სავნებელი არ უქნია ამ გრძნობას? სჩანს შესაძლებელი ყოფილა გრძნობათა ძლევა, მათი შეკავება, შეზღუდვა.

რამდენი დრამატიზმია ამ მოთხრობაში, რამდენს აზრსა ბადავს და გრძნობებს გვიშლის იგი. თუ გინდათ უფრო ნათლად დაინახოთ ნიჭის ძლიერება, შეადარეთ ეს მოთხრობა ამავე შინაარსიან მოთხრობას („მოტყუებული“) ბ. ფავლენიშვილისას, რომელიც ამავე ჟურნალშია დასტამბული. რამდენი „ვაი“ და «უი» გესმისთ მეორეში. რამდენი ტყვია და წამალია დახარჯული ტრაგიზმის გამოსახატველად, მაგრამ თავის დღეში ისეთს შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს, როგორც პირველი.

მეორე ადგილი უკავია ბ. არაგვისპირელის მოთხრობებს. მე მგონია ამ მწერალს ახალგაზდათა შორის უპირველესი ადგილი უკავია. როგორც ეტყობა სერიოზულად მოუკიდია ხელი ლიტერატურისათვის და ნიჭიც აქვს, ისეთი ნიჭი, რომ თუ არ მოაკლო საკვები, თუ კარგად მოუარა მას, ბევრს ჩინებულს და კარგს ნაწარმოებს შესძენს ჩვენს ლიტერატურას. ავტორი „ეს არის ჩვენი ცხოვრებ“-ით იჩენს ყოველივეს რაც მწერალში მომხიბვლელია. მისი ნაწარმოებები სავსე არიან პოეზიით, ზოგიერთში ღრმა ფილოსოფიური აზრი არის გატარებული, ეხება თვით უხაზესს გრძნობებს და მათ მკაფიოდ გამოხატვას ახერხებს. ეს საკმაო არის მისთვის, რომ მწერალი, ნამდვილი და ნიჭიერი მწერალი უწოდოთ მას.

ჩვენს გაზეთში მის უკანასკნელ მოთხრობების შესახებ იყო აზრი გამოთქმული, მთლად მისი თხზულებების გარჩევა-კი კიდევ გადაგვიდვია ცოტას ხნით.

აღსანიშნავია აგრეთვე ბ. ა. ლეისტის მოთხრობა, რომელიც გერმანული ენიდამ არის ნათარგმნი. ეს მოთხრობა ერთს გერმანულს ჟურნალში ყოფილა დაბეჭდილი. კიდევ და კიდევ განუმეორებთ ბ. ლეისტს მადლობას, რომ ჩვენს ცხოვრებაში ნახა რამე საინტერესო, გარდა ყანწებისა და ლამაზ ქალებისა, რომელთა აწერით სავსენი არიან უცხოელთა ნაწარმოები ჩვენს შესახებ. ამ მოთხრობის შესახებ ჩვენ ვრცლად მოვილაპარაკეთ ჩვენის გაზეთის ერთერთს ნომერში („ცხოვრება და ხელოვნება“ V) სხვა მოთხრობების შესახებაც იყო ნათქვამი, რამდენიმე სიტყვა ამავე გაზეთის ფურცლებზედ, ამიტომ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია მათ შევეხოთ.

საინტერესოა მხოლოდ ბ. ნიკოლაიშვილის, რომანი, რომელიც წარმომადგენელია უკიდურესი ნატურალიზმისა. რაღა უნდა იყოს უფრო ნამდვილი, ბუნებრივი, როცა აიღებ და რომელსამე ნამდვილ ფაქტს ასწერ, ისე როგორც შეჰფერის კორესპონდენტს, და ან ბოქაულს, რომელიც ოქმს ადგენს. მაგრამ ეს ხელოვნება არ არის, ნატურალიზმი ხელოვნებაში სულ სხვა პრინციპებზედ არის აღგებული; სულ სხვანაირად არის განხორციელებული ეს პრინციპები ნატურალიზმის მამა-მთავართაგან. ნატურალიზმს, როგორც ესტეტიურს მოძღვრებას, ის-კი არა აქვს აზრად, რომ ყოველივე ნიჭს და შემოქმედების ძალას ფრთები შეაკვეცოს, სამარე გაუთხაროს,—არა ამ მოძღვრებას სურს სხვა მიმართულება მისცეს ხელოვნებას, სხვა გზა უჩვენოს თავის დანიშნულების მისაღწევად და არა ის, რომ ყოველი ნიჭს მოკლებული და უმნიშვნელო თხზულება აღიაროს დიდებულ ნაწარმოებად. ეს მოძღვრება ვერ გაიგეს კარგად და ამიტომ ყოველივე ნიჭს მოკლებული მწერალი მას შეეფარა. რა ნიჭია საჭირო მისთვის, რომ ამბავი დასწერო? არავითარი ნიჭი ამას არ უნდა და ამიტომაც ამგვარმა ლიტერატურამ კორესპონდენციის ხასიათი მიიღო. ბ. ნიკოლაიშვილის მოთხრობა საინტერესოა არა ხელოვნებით, არა მით, რომ ავტორმა ამა თუ იმ მოვლენას ნათელი მოჰფინა, ან და რაიმე საიდუმლო და რთული საგანი დააგვანახვა და გაგვიარკვია. არა—თვით ამბავია საშინელი, საინტერესო თავისი უცნაურობით, ავტორს რიგიანი მსჯავრიც კი ვერ დიუდვია ამ ფაქტისათვის. ამავე ხასიათის არის ბ. ლალიონის მოთხრობაცა, იმაში ამბავიც-კი ვერ არის ახალი და ორიგინალურად მოთხრობილი.

პოეზიაში ბ. ცახელის „მხედარი“ და ბ. ვიჟაფშაველას „ხის ბეჭი“ იქცევს მკითხველის ყურადღებას როგორც ვხედავ ვაჟა-ფშაველა სიმვოლისტობას აპირობს. გზა მშვიდობისა დამილოცნია, მაგრამ ამ პოემამ ის დამანახვა, რომ ბ. ვაჟა-ფშაველას სიმვოლიზმის თვით უაღრესი ნაკლულევანება დაუჩემებია. სიმვოლიზმი, როგორც ნატურალიზმი თავის დროს, კარგად თუ იქმნა შეგნებული, დიდს სარგებლობას მოუტანს ლიტერატურას, მაგრამ ხათაბალა ის არის, რომ კარგად ვერ შეუგნიათ ზოგიერთებს ეს მოძღვრება. სიმბოლიზმის ნაკლულევანება ის არის, რომ მეტის მეტს, გადამეტებულს საიდუმლებას ეტანება და მეტად ბუნდოვანად ასურათებს აზრს, ეს ნაკლი ბ. ვაჟა-ფშაველას პოემასაც ეტყობა.

—

ჩვენი გაზეთის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში—პოეზიაში— სულ ახალ მწერლების ნაწერები უფრო იქცევენ ყურადღებას, ხოლო პროზაში განდეგილის „მარინე“ და „ამბორი“. მეორეს შინაარსი ბიბლიურია. იქნება ამის მიზეზია, რომ მოთხრობა თავისი გულ-უბრყვილო პოეზიით, ხიბლავს მკითხველს. თანაც მოთხრობის ავტორი იჩენს მეტად სასიამოვნო ორიგინალობას.

თომაანთ-კობა თავისი მოთხრობებით მისი ნიჭიერების უეჭველს საბუთს გვაძლევს. მშვენიერი რამ არის მისი „გლეხის სიზმარი“ და დასაწყისი მისი უკანასკნელი მოთხრობისა: „ღმერთს სამართალი არა აქვს.“ ამ მოთხრობაში აწერილმა სიყვარულმა დაგვიმტკიცა, რომ ჩვენის ლიტერატურის წარმომადგენლებს კიდევ შერჩენიათ ის კუნჭული გრძნობიერებისა, საიდამაც სჩქეფს კაცობრიობის განმაცხოველებელი, მისი განმაახლებელი და განმაძლიერებელი ძალა სიყვარულისა.

კარგი არის აგრეთვე ბ-ნ ელეფთერიძის მოთხრობა: „გადაგვარება ოჯახისა“. ავტორმა ხელოვნურად სძლია ტენდენციის ძალა და საკმაოდ ნათლად დაგვიხატა სულის სიძაბუნე, ენერგია მოკლებულის ჩვენის ინტელიგენტისა, რომელიც ერთიორად მეტს სიბრალულს იწვევს ჩვენში მით, რომ გაფუჭებული გრძნობისა არ არის. ბეჩავი მონა, ყოველივე ცოტაც არის ძლიერი გარემოებისა, სიბრალულის ღირსია სხვა რიღასი?

—

„კვალის“ სიტყვა-კაზმული მწერლობა, ცოტა არ იყოს, მოისუსტებს. მართალია იქ მონაწილეობას ღებულობს ერთ-ერთი დედა-ბოძი ჩვენის ლიტერატურისა, მაგრამ როცა მისს ნაწარმოებზედ ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მისი უწინდელი ნაწერები. სწორედ ამიტომაც შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს წელიწადი თ. აკაკი წერეთლის ნაწერებისათვის ნაკიანი იყო. რაიცა მისს მოთხრობას შეეხება, იგი ჯერ დამთავრებული არ არის, თუმცა ესეც შეიძლება ითქვას, რომ თ. აკაკი წერეთლის სახელს ვერას შეჰმატებს-რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9-ს. ითამაშეს ოთხი ვოდევილი: ორი ქართული და ორიც რუსული. როლები სცენის მოყვარეთ საუკეთესოდ შეასრულეს. სწორედ საუკეთესო ნიჭის მექონეთ მოეყარათ თავი. საზოგადოება ბევრი დაესწრო. ფასები დიდი იყო. უკანასკნელი ადგილი მანეთი და ერთი შაური ღირდა. წარმოდგენა იყო თელავის საზოგადო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. ამ წიგნთ-საცავით სარგებლობს მცირე რიცხვი თელავის ინტელიგენციისა. აქ მარტო დრო გამოშვებითი გამოცემებია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წარმოდგენიდამ შემოსულს ფულს რიგიანს დანიშნულებას მისცემენ, ე. ი. ამ ფულით სადილ-ვახშამს, დარწმუნებულნი ვართ, არავინ გაიმართავს, არც რამდენისამე კაცის სასარგებლოდ ჟურნალ-გაზეთებს გამოიწერს, არამედ ამ საზოგადოებისაგან მოკრებილი ფულით იქნება შეძენილი უმრავლესობისათვის გამოსადეგი ქართული და რუსული საკითხავი წიგნები; მით უმეტეს, რომ წიგნთ-საცავი წიგნებით მეტად ღარიბია. მაშ, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წარმოდგენიდამ შემოსული ფული საზოგადოების სასარგებლოდ იქმნება მოხმარებული. ამიტომ და მარტოდ მარტო ამიტომ დიდის მადლობის ღირსნი იქმნებიან ამ საქმის დამწყობ-დამლაგებელნი და აგრეთვე სცენის მოყვარენი. უკანასკნელთ ვსთხოვთ ღვთისაგან უხვად მიმადლებული თვისი ნიჭი რომელსამე დარბაისლური პიესის წარმოდგენაზე მოიხმაროონ და დაგვატკბონ.

ი.

ბ-ნი ვაჟაფშაველა, აკი მოგახსენეთ, ცრუ სიმბოლიზმს გამოეკიდა-მეთქი. თავისი მოთხრობითაც დაგვიმტკიცა ესა. „მუცელა“-ში ავტორი მოგვითხრობს ამბავს ერთი გაუმაძღარი კაცისას, რომელიც ცხოვრებას სულ სმა ჭამაშა ატარებს. ერთ დღეს დევები დაიჭერენ და წაიყვანენ. აწამებენ საწყალს და სტანჯავენ უჭმელობით, სანამ იქამდის არ მიიყვანენ, რომ თავისს სულს მიჰყიდის მათ და არა თუ თავისას, მთელ თავისის სახლობისას. მხოლოდ ამის შემდეგ დევები განათავისუფლებენ მუცელას. ის არც შემდეგ იშლის თავისს პირუტყვულს ცხოვრებას. ბოლოს ერთს ომში ტყვედ დაიჭერენ და ჩამოარჩობენ...

მე მგონია ავტორს ჰსურდა გამოეხატა, თუ რამდენზე მავნებელია და თვით სიცოცხლის მომსპობელი, როცა ღმერთად მარტო კუჭს აღიარებ. მაგრამ ეს აზრი ნათლად ვერ არის გამოთქმული. რისთვის არის შემოტანილი ეპიზოდი „მუცელას დევებისაგან“ დაჭერისა? ნუ თუ მისთვის, რომ ავტორს ეთქვა, რაც არ უნდა დაანახვო კაცს უმნიშვნელობა და არარაობა პირუტყვულ ცხოვრებისა, ის მაინც ვერ მოიშლის ამასაო? არა მგონია, ეს უფრო ნამდვილია, რომ ბუნდოვანმა არაკმა გაიტაცა ნიჭიერი მწერალი. ერთად ერთი ადგილი კარგი ამ მოთხრობაში ის არის, საცა მოყვანილია სულის, ჭკუისა, მუცლის და თვით მუცელას საუბარი. მოვიყვანთ ამ ორიგინალურ სცენას:

მ უ ც ე ლ ა. ვაი!.. ვაჰმე, ვაკვდები!

მ უ ც ე ლ ი. ვაი, ჩემი ბრალი, რა კაცს მაკუთნა უფალმა.

ჭ კ უ ა. ახია თქვენზე! სწორედ ახია ერთზედაც და მეორეზედაც.

ს უ ლ ი. ოჰ, დავიწვი, დავიწვი, თქვენს ხელში. მე საცოდავი.

მ უ ც ე ლ ა. რათა და რისთვის?

ს უ ლ ი. მიტომ, რომ წამწყმიდე, წამწყმიდე! დამტანჯე, ჯვარს მაცვი, არასოდეს ჩემთვის საზრდო არ მოგიწოდებია. ვმჭლევდები და ლამის რომ მოვკვდე. მუდამ მშიოდა და დღესაც ვკვდები შიმშილით.

მ უ ც ე ლ ი. აგრეთვე მეც, ხოლო არა შიმშილით, არამედ სიმაძღრით. ვინ გეხვეწებოდა ჩამაყარე ამდენი სანოვაგეო, რამდენსაც შენ მაყრიდი. ერთი წიხლი-და მაკლდა და წიხლი რომ მოგეწვდინა იმასაც ჩამცემდი, რომ გავდიდებულიყავი და ბევრის მონელება შემძლებოდა. ვინ გეხვეწებოდა ჩაფიცებით ჩამომასხი ღვინოვო? ღმერთო, რაც მე წვალება გამოვიარე: ვიმანქებოდი ვიღმიჭებოდი, ეს ღმეტა თვით შენს სახეზედაც აღიბეჭდებოდა ხოლმე, სულ იმიტომ კი, რომ მემძიმებოდა ტვირთი და ვცდილობდი ეგები როგორმე ზიდვა, მორევნა შევიძლოვო, კიდევ მადლობა ღმერთს, ანთება არ დამემართა და შენც თან არ გადაგიყოლე; მე ვიტანჯებოდი, ცეცხლი მედებოდა და შენკი „არხალალოს“ და „მრავალ-ჟამიერსა“ ჰყვიროდი. მარონინე, მატარე იქამდის, რომ ახლა უნდა დავკნე და დაგაკნო, დავდნე და დაგადნო შენც. დღეს შენგან მომივლინა ღმერთმა მეც ეს სასჯელი. რა გინდოდა, შე კაი კაცო, რიგზე, წესზე გესვა და გეჭამა. თავის სიმსუნაგით ზიარების დროს კინაღამ ზიარების კოვზი გადაჰყლაპე და დატოვე უზიარებელი იმოდენა დუნია. გაწყრებოდა ღმერთი, მაშ დაგლოცავდა!?

ჭ კ უ ა. მე-და? მე-და? ერთი ჩემი საჩივარიც მოისმინე-და! თქვენ რომ ყველანი მაძღრები გალაღებულნი, კმაყოფილნი იყავით, უკრავდით ტვშსა, მე-კი ვხტოდი, ამოვდიოდი ბუქნაში, დავიქანცე, დავიღალე მშიერ-მწყურვალი დავიყმიდე უსაზრდოობით; გავლაყდი, გავშრი, ქონათ ვიქეცი, წავხდი კაკალი კაცი. განა ღმერთმა რომ კაცს ჭკუა მისცეს, ასე ოხრათ უნდა მიანებოს თავი, როგორც თქვენ აიღეთ ჩემზე ხელი?!

ს უ ლ ი. საწყალი, საბრალო მე ვარ, თვარა თქვენ რა გიჭირსთ: თქვენი ყოფა მოკლე ხნისაა, ხოლო ჩემი დაუსრულებელი, უნდა ვიწოდე მუდამ-ჟამს ცეცხლში და არ ექნას ჩემს ტანჯვას დასასრული.

მ უ ც ე ლ ა. ღმერმა თქვენც შეგარცხვინოსთ და თქვენი სამართალიც. რატომ მაშინვე არ მითხარით, შვილონიავ, ახლა მე უბნებით განა, როცა ხატანჯველში ჩავარდი?

ყ ვ ე ლ ა ნ ი ე რ თ ა თ (მუცელას). აკი გითხარით. განა ერთხელ და ორჯელ? რამდენჯელ, ვან მოთვლის!

მ უ ც ე ლ ა. აბა როდის? დორის, თქვით რაღა?

ჭ კ უ ა. მაშ არ გახსოვს, მე რომ გეუბნებოდი: ნუ მიჰყვები მაგ ოხერს მუცელს, თუარა წაგიყვანს და გადაგჩეხავს კლდესაო; იყავი ზომიერი: გახსოვდეს წარსული, დაუკვირდი აწმყოს, გაშინებდეს, გაუფრთხილდი მომავალს. აი, მომავალი ეს არის. გითხარი: ვინ იცის, რა მოელის კაცს, იქნება გაღარიბდე, მაშინ სადღა იშოვი მუცლის ამოსაყორს მასალასაო?!.

მ უ ც ე ლ ა. როდის მითხარი ეგენი აღარ მახსოვს. ალბათ მთვრალი თუ ვიყავი.

მ უ ც ე ლ ი. ახლა მეც გამიგონეთ. მე რამდენჯელ-და ვაგრძნობინე ზომიერი იყავი-მეთქი. რამდენჯელ დავლმეჭილვარ, როცა მომეტებული ხორაგი და სასმელი დაუყრია ჩემთვის თავზე, მაშინ თვითონაც ღმეტა დაუწყია, მაგრამ, აბა, მაგას მაინც არ დაუშლია და მოუმატებია, ჩამოუძახებია და ჩამოუძახებია. ბევრჯელ ეს ჩამოყრილ-ჩამოძახებული უკანვე ამომიძახებია, მაგრამ მაინც არ დაიშალა. ძალა დამატანა, მეც შევეჩვიე ძალ-დატანებას და ვიღებდი კმაყოფილებით, რასაც-კი მომაწვდიდა.

ს უ ლ ი. ოჰო, ჰო! მე რამდენჯელ-და გირჩიე: ვინც ბარაქალას გეუბნება, იმათკი ნუ უმასპინძლდები, უმასპინძლე დავრდომილთ, გლახაკთ; მიჰხედე, მოეხმარე ობოლსა და ქვრივსაო; შენ არ გამიგონე. „იმათთვის ღმერთს მაგრე ყოფა დაუწერია და ჩემთვის ასეო“.

მ უ ც ე ლ ა. რატომ ძალა არ დამატანეთ? რატომ არ გამლანძღეთ, ან არ მცემეთ, თუკი იცოდით, რომ ასეთი საქმე დამემართებოდა? ახლა კარგა ხმა-მაღლა აჰლაპარაკდით?! რატომ წინათ არა ჰყვირედით მაგრე ჭკვიანათ და ხმიანათ? ჰაი, თუ ღმერთმა გადამარჩინა ამ უბედურებას, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, გასწავლით ჭკუას.

ყ ვ ე ლ ა ნ ი ე რ თ ა თ (მუცელას). ჯერ ახლაც გვემუქრები და, აბა, როგორ შეგვეძლო ჩვენ შენი ცემა, ან ლანძღვა? რჩევით კი ბევრჯელ გირჩიეთ, მაგრამ გესმოდა კი? მუდამ ღვინით გაჟღენთილი, გაბრუებული იყავი, რას გაგაგონებდით, ან რას ჩაგაგონებდით? ზოგჯერ გესმოდა კიდეც, ჰგრძნობდი, მაგრამ ყურს არ გვიგდებდი.

ასე ესაყვედურებიან „მუცელას“ — მთელს არსებას ყოველი ნაწილი ამ არსებისა. რასაკვირველია, პირუტყვული ცხოვრება არათუ სულსა ჰკლავს, თვით სხეულსაც (მუცელი) ასახიჩრებს, უსპობს ძალას და სიკვდილს უახლოვებს. ეს ადგილი ფილოსოფიური არის და საკმაოდ ორიგინალურად გამოხატული. მიგრამ მაინც შორს არის „მუცელას“ ავტორი „შველის ნუკრის ნაამბობისა“ და „წიფლის ხის“ შემოქმედზედ. „კვალში“ დასტამბულს მოთხრობაში დასახიჩრებული სიმბოლიზმია, უკანასკნელებში-კი სალი, ნათელი და პოეზიით აღსავსე სიმბოლიზმი.

ბ. დუტუ მეგრელის „საშინელი ქარიშხალიც“ მოკლებულია ყოველს ლიტერატურულს ღირსებას. ეს მეორე მაგალითი ჩვენთა მწერლების განვითარებისა. „ქინაქინისა“ და „გოგია და ქანას“ დამწერს-კი მოეთხოვებოდა უკეთესად დაწერილი რამ, თუ რომ ჩვენი მწერლების განვითარება იმავე კანონს ექვემდებარებოდეს, როგორც უცხოელ მწერალთა ნიჭის ზრდა.

ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ჟურნალ-გაზეთების მეტ-ნაკლებობა არ შეიძლება კაცმა არ მიიღოს ნიშნად განათლების მეტ-ნაკლებობისა. დასტამბული სიტყვა ეხლანდელ დროში დიდი და მძლავრი ზედ-მომქმედია კაცობრიობაზე. ამის მეტ-ნაკლებობაზე შეეტყობა რამოდენად გაღვიძებული აქვს ერს ჭკუა და გრძნობა, ცნობის-მოყვარეობა ქვეყნისა და კაცობრიობისა და რამოდენად კაცურად ცხოვრებისათვის იგი თვალ-ახილებულია და მოწადინებული. დრო-გამოშვებითს ლიტერატურას, რომელსაც შეადგენს ჟურნალ-გაზეთობა, ამ მხრით დიდი ადგილი უჭირავს ეხლანდელ ადამიანის ცხოვრებაში. არც ერთს განათლებულს ერს უამისოდ ეხლა ცხოვრება არ შეუძლიან: ყველასათვის არამც თუ სასურველია, არამედ აუცილებლად საჭიროა იცოდეს რა არის იგი ქვეყნიერობაში და რა ამბავი და ვითარება მიდის-მოდის მის გარეშემო, სად რას გახდეს, სად რა მოიხდინოს, სად რას მისწვდეს და საიდამ რა მოიწვდინოს. ამ საქმეში ბევრსა ჰშველის სხვათა შორის ჟურნალ-გაზეთობა, რომლის თვალი ყველგან ჰტრიალებს, რომლის გონება ყველგან სჯის და სჭრის და ამიერ და იმიერ ქვეყნებ შორის გზად და ხიდად არის გადებული ერთმანეთის გამოსაცნაურებლად და სალაპარაკოდ. ამიტომაც ჟურნალ-გაზეთობა ერთ იმ ნიშნად უნდა იყოს ცნობილი რომელიც აღმატებას ერის განათლებისას უტყუარად აღნიშნავს.

გერმანია ჟურნალ-გაზეთობის რიცხვით ყველაზე წინ არის: იქ იბეჭდება 6 500 ჟურნალ-გაზეთი, საფრანგეთში—5,500, ინგლისში 4,000, რუსეთში 900. შვეიცარიაში ერთს მილლიონ მკვიდრზე მოდის 230 ჟურნალ-გაზეთი, ბელგიაში—153, ნორვეგიაში — 89, ისპანიაში—68, იტალიაში—51, ავსტრიაში—43, საბერძნეთში—36, სერბიაშიაც-კი—26 და რუსეთში 9. (ბ. ი ლ.)

— გერმანული მეცნიერი-ბიოლოგი დიუზანგი ამტკიცებს დიდის საბუთებით და გამოძიებით, რომ საცა ცოლ-ქმარს ბევრი ქალი

უცხოეთი

—

გერმანია. გერმანიის იმპერიის გაერთიანების იუბილეს შესახებ ფრანგულმა ჟურნალ-გაზეთებმა გამოსთქვეს აზრი, ისეთი აზრი, რომელიც გერმანელებს სასიამოვნოდ უნდა დარჩეთ. თუ ელზას-ლორენის შესახებ სთქვეს რამე ამ გაზეთებმა, ისეთი არა უთქვამთ-რა, რომ გერმანიის საწყენი იყოს. ისეთი სერიოზული გაზეთები, როგორიც „ტანი“-ა და „ჟურნალი დე დება“ ორივე თანაგრძნობას უცხადებს ამ დღესასწაულს. „ტანი“ გაიხსენებს-რა საფრანგეთისათვის ამ უბედურს დღეს, დასძენს: გერმანია ამ დღეს გაერთიანდა და ეს გაერთიანება მტკიცე საფუძველზედ არის დამყარებული. ის ადგილი, რომელიც გერმანიამ დაიჭირა ევროპაში ამ უკანასკნელის 25 წლის განმავლობაში, მისთვის სწორედ სასიქადულოა. თუმცა საფრანგეთს არ შეუძლია აღტაცებით მიეგებოს ამას და უსურვოს გერმანიას ასეთი თავისთვის საშიშარი გაძლიერება. მაგრამ, რაც არ უნდა ვსთქვათ, ჩვენს უფლებებზედ დაკარგულ პროვინციის შესახებ, პატიოსნება და რიგიანობა მოითხოვს აღვიაროთ ფაქტი გერმანიის იმპერიის გაერთიანებისა. მართალი უნდა ვსთქვათ, იმპერატორი ვილჰელმი მეტად წესიერად მოიქცა ამ დღესასწაულის დროს, რაკი ჩვენს ჭრილობას არ შეეხო და ნახევრად მორჩენილი წყლული აღარ გაგვიახლა. მისმა მოქმედებამ ვალდებულ გვყო ამ დღესწაულის დიდი მნიშვნელობა პირუთვნელად საქვეყნოდ განგვეცხადებინა.

ინგლისელი ჟურნალ-გაზეთები-კი სულ სხვანაირად ჰგალობენ. იგინი ამბობენ, რომ არ უნდა ედღესასწაულნა გერმანიას საფრანგეთის დამარცხების დღე, ხომ იცოდნენ ეს ეწყინებოდა საფრანგეთსაო. ურჩევენ გერმანიას სამშვიდობო პოლიტიკას მისდიოს და სხვის საქმეებში ნუ გაერევა, რადგან თვითაც ბევრი საქმეები აქვს. „ტაიმსი“ დიდს ქებას ასხამს ვილჰელმს, მაგრამ დარიგებას მაინც აწოდებს,—სხვის საქმეებში ნუ გაერევითო.

—

ერთ ერთს გერმანულს გაზეთში დასტამბულია წერილი, რომელმაც უცხოელი ჟურნალ-გაზეთობა აალაპარაკა. ამის შესახებ ოფიციოზური გაზეთი „ნორდეინ ალგემაინ ცეიტუნგი“ აი რას ამბობს: ჩვენს პრესსას ამ წერილისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მიტომ რომ ოცნებებით სავსეა და ყოველსავე სინამდვილეს მოკლებულიაო. წერილის ავტორი ამბობს, რომ გერმანიას უნდა რუსეთის ბალტიის მხარე დაიკავოსო, ეს-კი გერმანიას სულაც არა აქვს აზრად, რადგან ვერავითარს სარგებლობას ვერ ხედავს იქა. ამბობს, რომ გერმანიას უნდა საფრანგეთს მეცის ციხე სიმაგრე დაუთმოსო და ეს ხომ მხოლოდ მტკნარი ოცნებაა.

ვილჰელმის უკანასკნელის სიტყვის შემდეგ ბერლინში ხმა გავრცელდა, რომ მთავრობა აპირებსო ფლოტის გაძლიერებას. ეხლა „ნაციონალ ცეიტუნგი“-ც მასვე ამბობს. დიდიხანიაო გერმანიას სჭირია ფლოტის გაძლიერება, რადგან დღეინდელი ვერ აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას. ამიტომ რეიხსტაგში შეიტანენ პროექტს, რომელსაც აზრად აქვს ფლოტის გაუმჯობესება, გაძლიერება. ამბობენ რომ მთავრობის წევრთა შორის ამის შესახებ თანხმობა არ არსებობსო, მაგრამ ეს მართალი არ არის; წინააღმდეგ, მთავრობის ყველა წევრნი ერთხმად აღიარებენ და საჭიროდ სთვლიან გერმანიის ფლოტის გაძლიერებასაო.

—

საფრანგეთი. ვატიკანიდამ დაიბარეს ელჩი ლეფებრ დე ბეგენი. ამ მოქმედებას სამინისტროსას რადიკალები აღტაცებით მიეგებნენ, ხოლო ზომიერი რესპუბლიკელები და კონსერვატიული დასები-კი დიდს უკმაყოფილებას აცხადებენ ამის გამო. საფრანგეთი უნდა ეცადოს, რომ როცა ლეონ XIII მოკვდება კონკლავზედ რაიმე გავლენა იქონიოსო. ამისთვის-კი ლეფებრ-დე-ბეგენი მეტად საჭირო იყო, როგორც გამოცდილი დიპლომატიო, ამბობენ იგინი. ზოლამაც განაცხადა თავისი აზრი: ძალიან ვეჭვობო, სთქვა მან, რომ საფრანგეთს რაიმე გავლენა ექმნეს კონკლავზედაო. ეს შიში რასაკვირველია, გარდამეტებულია, თუ ვატიკანიდამ ელჩი დაიბარეს იმიტომ-კი არა, რომ საფრანგეთს ვატიკანთან დიპლომატური კავშირის შეწყვეტა სურდეს. ეს იმითაც მტკიცდება, რომ „გოლუა“ ამბობს ვითომ ლეფებრის ადგილზედ ჰანოტოს უპირებდნენ დანიშვნას. თუ ეს ასე იქმნა საფრანგეთი არას წააგებს, რადგან ჰანოტო მეტად მოხერხებული დიპლომატია „ფიგარო“-კი ამბობს, რომ ლეფებრის ადგილზედ ნიზარს ნიშვნენო.

„კვალ“-ში ისტორიული მოთხრობაც არის დაბეჭდილი: „სვიმონ ხელი“ ბ. ბარნოვისა. ისტორიული მოთხრობა ბევრით უნდა განირჩეოდეს მატიანედამ. მართალია მწერალი ისტორიიდამ იღებს არაკს თავის მოთხრობისას, მაგრამ უფრო სხვანაირად უნდა მას შემუშავება. მოთხრობაში აწერილია ის ხანა, როდესაც საქართველო სპარსთა და ოსმალთა საბურთაო მოედნად გამხდარიყო და შინაური მტრებიც მოსვენებას არ იძლეოდნენ. სვიმონ, ხელად წოდებული, სპარსეთშია (შაჰთამაზის დროს) დატყვევებული, ერთ-ერთ თავისივე ქვეშევრდომის ღალატის წყალობით. სპარსეთში ხუდაბანდის გამეფების შემდეგ სვიმონს ნება მიეცა სამშობლოში დაბრუნებულიყო, თუმცა ამისათვის მაჰმადიანობა უნდა მიეღო. თავგანწირული მეფე მხნედ შეებრძოლა ოსმალეთს, მაგრამ ტყვეობა, როგორღაც სვიმონის ბედი იყო, ოსმალეთის ტყვედაც შეიქმნა. ამ ტყვეობის დროს სულთანმა მოაწამვლინა. ისტორიული პირები მეტად სუსტად არის გამოხატული ტ დასურათებული. უფრო საყურადღებო ისტორიული მომენტები ვერ არიან საკმაო დრამატიზმით მოთხრობილნი. ფსიხოლოგია სულ არ არის. სიყვარული სვიმონის ქალისა და ათაბაგი მანუჩარისა, მეტად საინტერესოდ გახდიდა ამ მოთხრობას, თუ რომ ხელოვნურად იყოს აწერილი. ერთი სიტყვით ეს მოთხრობა თვით მატიანეს ფურცლებზედაც უფრო მოსაწყენი საკითხავია. ისტორიაში (მაგ. ჯანაშვილის) მოკლედ მაინც არის

შვილი უჩნდება, ამისი მიზეზი სისუტეაო დედის აგებულებისა და საცა ვაჟი-შვილი— სისუტეა მამის აგებულებისაო. (Ვ. ᲘᲚ.)

— ეხლა ᲞᲐᲠᲘᲡᲨᲘ იყიდება თურმე ახალნაირი ველოსიპედი, რომელსაც „თვითმავალა ველოსიპედი“ ჰქვიან. იგი ველოსიპედი მოუგონია მილიოს საფრანგეთში და ისეა მომართული, რომ ველოსიპედზე მჯდომარეს შეუძლიან, თუ უნდა, ფეხითაც ამუშავოს, თუ არ უნდა, უამისოდაც. რა თქმა უნდა, აქაც ელექტრონია მოწვეული საშველად, რომელიც ნავთის ეფირს და ჰაერს ეხმარება და ყოველივე ეს ისეთ ნაირად არის მანქანით მოწყობილი, რომ ველოსიპედი თავისს-თავად დადის ადამიანის გაურჯელად. საათში 30 ს ვერსტს ადვილად გარბის და თუ გაჭირდა 55 ვერსტსაც გაივლის ერთს საათშიო.

— რაკი ველოსიპედზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ბარემ სულა ვსთქვათ, რაც სათქმელია და ახალი ამ საქმეში. ამერიკაში, სახელდობრ, კალიფორნიაში ალფრედ ტომსონს მოუგონია ცხრა კაცის სახდომი ორთვლიანი ველოსიპედი, სულ 180 გირვანქა სიმძიმე აქვს თურმე და ალლუმინისაგან არის გაკეთებული. საშინელ სისწრაფით მოარულს ამბობენ. თუ სულ ცხრა კაცი ერთად გაირჯება, ინგლისურს მილლს ოცს წამს (სეკუნდი) გაირბენს თურმე მაშინ, როდესაც ორთქლ-მავალა, რაც გინდ კარგი იყოს, ამ მანძილს უნდება 32 წამი. ასე გამოდის, რომ ერთს წუთში (მინუტი) სამს მიილს მანძილს გაირბენს. ირწმუნებიან, რომ ბევრით მეტსაც გაივლის, თუ შიგ მსხდომნი იმისთანანი იქნებიან, რომ სული არ შეუგუბდებათ ისე თავბრუ დასასხმელ სისწრაფით რომ ირბინონო. როცა 1890 წ. კალიფორნიაში ამ ველოსიპედის სისწრაფე სცადეს და გაუშვეს, ველოსიპედი ისე გაძლიერდა თურმე, რომ შიგ მსხდომნი იძულებულ იყვნენ, განსაცდელისაგან გადასარჩენად, ნელ-ნელა და თან-და-თან ცდილიყვნენ დაეყენებინათ და არა ერთბამად. ასეთი ფერი ედოთ თურმე შიგ მსხდომთ ნერვების აშლისაგან, რომ მკვდრები გეგონებოდათო.

წერილი რედაქციის მიმართ.

—

წარსული წლის 1 ოქტომბერს თელავში შესდგა კერძო კომიტეტი თავრასეულ ერისთავის სიაუბიდეო დღესასწაულობის გამო. კომიტეტმა 34 კერ-

---

მოთხრობილი ეს ამბავი, აქ-კი მეტად გაჭიანურებულია, აწერილია ომები ძალიან დაწვრილებით, რაც მკითხველს ღალავს და მოთმინებას უკარგავს.

სხვა თუ რამე იყო საინტერესო „კვალი“-ს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში, იმაზედ თავის დროზედ ჩვენი აზრი წარმოვსთქვით („ცხოვრ. და ხელოვ.“ VI).

ჩვენ აქ არ შევხებივართ სხვადა-სხვა გამოცემებს, (ბ. როსტომაშვილისა, გოგებაშვილისა, სახალხო იეფ-ფასიანი წიგნებისა და სხვ.)

მართალია შესანიშნავი მოვლენაა ჩვენის ცხოვრებისა და ღირსია აღნიშვნისა, მაგრამ მოკლე მიმოხილვაში ვერ ვკისრულობთ მათ განრჩევას.

დავამთავრეთ ჩვენი მოკლე მიმოხილვა. და ვუსურვებთ ჩვენს ლიტერატურას გაძლიერებას. ჩვენმა ლიტერატორებმა, რომელთათვისაც ღმერთს ნიჭი მიუცია, უნდა ყოველი ღონე იხმარონ თავისი ნიჭი განავითარონ, ამას კი დიდი შრომა სჭირია. ეხლანდელს ლიტერატორს საფუძვლიანად უნდა ჰქონდეს შესწავლილი, არათუ სამშობლო, უცხო ქვეყნების ლიტერატურაც, უნდა იყვეს ფილოსოფიურად განვითარებული, უამისოდ ყველა ტყუილია.

კიტა.

ძო წერილით მიჭმართა სხვა-და-სხვა ბერებს მოეგზავნებინათ ნება-ყოფლობით შემოწირულებანი. ხუთმეტ ოქტომბრისათვის დანიშნული იყო მსურველთა თავ-მოყრა თელავს, სადაც უნდა მოეტანათ შემოწირულებანი და განეხილათ საქმის შესაფერი საკითხები. ეველა, გისთანაც წერილი იყო, არ მოვიდა. საქმე საზოგადო აზრისამებრ იქმნა წარმართული. ვინც მაშინ არ მოვიდა, ბეჯეონა, მერმე შეასრულებდა ამ საზოგადო დავალებასა, მაგრამ იმათი მიზეზით ტყუილად დაგვიგვიანდა აქმედის ანგარიშის გამოცხადება. ეტყობა, მრავალნი სულ ტყუილ-უბრალოდ ითვლებიან საზოგადო საქმის საიმედო პირებად და ესენი მუდამ დაბრკოლებენ ასე თუ ისე საქმესა.

ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, ნება მოგვცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოაცხადოთ დაგვიანებული ანგარიში.

ს. კარდისუბნიდამ მ. ტაბლიეკის ხელით 4 მან. 30 კაპ., ს. კურდღელაურიდამ მ. ჯაჯანიძის ხელით 2 მ. 40 კ., ს. შალაურიდამ ბ. გაგუნოკის ხელით 2 მ. 60 კ., ს. ქასტაურიდამ თ. მ. ერისთავის ხელით 100 მ. 10 კ., ს. იუალთოდამ თ. დ. მაყაშვილის ხელით 20 მან., ს. უკრულიდამ ბ. გომელაურის ხელით 54 მან. 60 კ., ს. აწყურიდამ ბ. გამყრელიძის ხელით 11 მ. 60 კ., ს. ფშაველიდამ მ. ბერიეკის ხელით 1 მ., ს. წინანდლიდამ ქ. აზაუროკის ხელით 6 მ., ს. შილდიდამ თ. ს. კასკასიშვილის ხელით 14 მან., ს. ახმეტიდამ ბ. ითრამოკის ხელით 16 მ. 20 კ., ქ. თელავიდამ თ. დ. კასკასიშვილის ხელით 39 მ., ქ. ტფილისში მცხოვრებ კასელებისაგან ბ. მგალობლიშვილის ხელით 24 მ.; სულ 295 მ. 80 კ.

წერილების გასაგზავნად დაქირავებულ ცხენოსანთ და სხვა წერილმანი სარჯი 8 მ. 50 კ., ბელსთა გაგზავნა დეშუტატიაში 25 მ., ნიკოლაი და ადრესის დაბეჭდა 116 მ. 90 კ. სულ დაიხარჯა 150 მ. 40 კ.

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ თ. რავეელის ფონდისათვის გარდაეცა ბ. ი. მგალობლიშვილის ხელით 117 მ. 10 კ., „იბერიის“ რედაქციას გარდაეცა რავეელის ფონდისათვის ბ. ზარაფიშვილის ხელით 28 მ. 30 კ. და სულ 295 მ. 80 კ.

ნამდვილზედ ხელი უწერიათ კერძო კომიტეტის წევრებსა.

ი.

საქართველოს თავადნი.

—

თავადნი ყარალაშვილნი. თავად ყარალაშვილთა გვარეულობა აღნიშნულია კასეთის თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

6 დეკემბერს 1850 წელს უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა სიაში აღნიშნული არიან თავადნი ყარალაშვილნი: 1) მე-14 კლასისა მოსელ გრიგოლ რევაზის ძე, შვილნი მათნი: ივანე, მისეიდი, რევაზ, მარიამი და კვეკლა; 2) ლუარსაბ რევაზის ძე, ცოლი მისი ანნა და შვილნი მათნი: თომა, იასონ, კონსტანტინე, ილია, ანასტასია და სოფიო და 3) პოდპორუჩიკი სოლომონ მისეიდის ძე, ცოლი

მისი მარიამ, შვილნი მათნი: გიორგი, ელისაბედი და ნატალია.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

16 იანვარი.

ბერლინი. დეპეშა რომიდამ: „აქ მოვიდა ტელეგრამა, რომ რას-ალუულისა და რას-მაკონენის შუა მომხდარ უთანხმოების გამო აბესსინელნი თავს დაესხენ გალიანოს რაზმს და იარაღი დააყრევინეს მას“.

რომი. პრინცი ფერდინანდ კობურგელი ჩამოვიდა აქ და ჩამოხტა სასტუმრო „ლონდონში“. პრინცს თან ახლავს 5 კაცი. პრინცი თავისის ამალით საღამოს ვატიკანში მივიდა.

რომი. პაპიმ მიიღო პრინცი კობურგელი და გაუმეორა წინანდელი პასუხი, რომ ნებას არ აძლევს— პრინცი ბორისი მართლ-მადიდებელის წესით იყოს მონათლული.

სოფია ხმა, ვითომც ბულგარიის მინისტრ - პრეზიდენტს სტოილოვს ეთქვას, რომ პრინცი ბორისი მალე მართლ-მადიდებლად იქნება მონათლულიო, მართლდება. სტოილოვს უთქვამს, რომ ეს მოხდება 30 იანვრამდისო. მას ოლქის ეფროსებისთვის ცირკულიარით მიუწერია— გამოუცხადე ხალხს ბორისის მართლ-მადიდებლად მონათვლის ამბავიო.

17 იანვარი.

პეტერბურგი. ფინანსთა სამინისტრომ საჭიროდ სცნო ერთ-ერთს კერძო რჩევაზე, რომელიც ფინანსთა სამინისტროსთან იმართება ხოლმე, დაწვრილებით განხილულ იქმნას პროექტი იმის შესახებ, რომ პროვინციებისათვის სავაჭრო საზომებისა და სასწორების გასაუმჯობესებლად გამოსაცდელი დაწესებულებანი იქმნან დაარსებულნი.

პეტერბურგი. ჭადრაკის თამაშობაში პირველი პარტია, რომელსაც სტეინიცი და ჩიგორინი თამაშობდნენ ლასკერისა და პილსბერის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელთ მოიგეს. მეორე თამაშობა 17 იანვრისათვის არის დანიშნული.

მოსკოვი. საგუბერნიო სათავადაზნაურო კრება გუშინ გაიხსნა. დიდმა მთავარმა სერგი ალექსანდრეს ძემ განუცხადა კრებას ის სამხიარულო გრძნობები, რომელიც მათს უმაღლესობასა და მოსკოვის თავად-აზნაურობას ამხნევებს მომავალ წმ. დაგვირგვინების გამო. დიდმა მთავარმა თავისი კმაყოფილება გამოაცხადა შესახებ იმისა, რომ განხილულ იქმნება საგანი მოსკოვში ქალთა სათავად-აზნაურო ინსტიტუტი დაარსდეს. სათავად-აზნაურო კრებამ გარდაწყვიტა. დაგვირგვინების დღეებში „რუსეთის კეთილშობილთა საკრებულოს“ დარბაზებში სალამოს მეჯლისი გაჰმართოს და იშუამდგომლოს, რომ მათნი უდიდებულესობანიც დესწრნენ ამ მეჯლისს.

საპროფესიონალო განათლების გამოფენა დაიხურა.

ვლადივოსტოკი. იოკოჰამიდამ იუწყებიან, რომ წყნარს ოკეანეზე მყოფი ინგლისის ესკადრა 6-ის სამხედრო გემით იქმნება გაძლიერებულიო; ამასთან ერთად ძლიერდება აგრეთვე იაპონიის ფლოტიც. ინგლისი და იაპონია სცდილობენ და ემზადებიან, რაც შეიძლება კარგად შეიარაღებულნი იყვნენ, თუ რომ კორეს საქმე, ან რუსეთ-ჩინეთის თანხმობა როგორმე გამწვავდა და დაირღვა.

პარისი. წმ. დაგვირგვინებაზე დასასწრებლად 975,000 ფრანკს კრედიტს ითხოვენ. ექსტრაორდინალური საელჩო ჯერ მთლად არ შემდგარა.

მილანი. პრინცმა კობურგისამ პაპთან მთელი საათი დაჰყო და სთხოვდა ეკკლესიიდამ არ განდევნოს იგი.

პეტერბურგის ბირჟა, 16 იანვარი.

	მყიდველისა.	გამყიდველის.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო	7,50	7,50	— „
5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა	— „	— „	212¼
4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა.	— „	— „	100¼
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა.	100½	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	99	— „	— „
6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა	100½	— „	— „
5% იმავე ბანკისა	99	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— „	— „	99

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ ᲤᲝᲚᲢᲐ“.

—

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, არსენას. „ხელოსნების დარიგება“ არ დაიბეჭდება.

ᲘᲫᲕᲔ, სვ. ბერძ—ს. „ხელოსანთა საყურადღებოდ“ არ დაიბეჭდება.

„ქართველ ხელოსანთა დამხმარებელ ამხანაგობის“ წესდებას ვერ დავბეჭდავთ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲚᲒᲐ

ამით აცხადებს, რომ 20 იანვარს, 1896 წელს, დღის 12 საათზედ, საჯარო ვაჭრობა აქვს დანიშნული ავჭალის წყლის გამოსაყვან ადგილებზე მტკვრის პირად ბოგირების გაკეთება იჯარით მისცის. მსურველს იჯარით გაცემის პირობები შეუძლიან გამგეობის ამშენებელს განყოფილებაში ჰნახოს ყოველ დღე დილის 10-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(2—6—1)

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავარცლებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ბარათაშვილის

ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ.

გამოცემა მეხუთე.

ფასი 40 კ.

ᲛᲐᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის

ქრ. შმიდტისა

ფასი 15 კ.

ᲛᲢᲠᲔᲓᲘ.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის.

ქრ. შმიდტისა

ფასი 10 კ.

მაქვს ფარჩაზედ დახატული **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ** სურათი ბალიშებისათვის, თვითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე **ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘᲡ** კაცის სურათი—აბრეშუმის ცხვირ-საბოცზედ. თითო ღირს 3 აბაზი—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზედ დახატული აბაზი, 5 შაური და 6 შაური ლამპის სანრდიდოზედ (აბაჟური) **ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ** სურათებით (6 სურათი)—3 მან.

ტფილისი, კოჩუბეის ქუჩა, დროგიშევის სახლი, № 21, ალექსანდრა როდიონოვისა.

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!

ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲣᲠᲘ

ᲑᲝᲠᲜᲝ-ᲪᲘᲛᲝᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲝᲜᲘ

Გ. Ფ. ᲘᲣᲠᲒᲔᲜᲡᲘᲡᲐ

აქრობს ჭორფლს, სიცხისგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეტეტებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თვითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის Გ. Ფ. ᲘᲣᲠᲒᲔᲜᲡᲝᲜᲡ მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აგმუროვთან, კავკასიაში საფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან.

(24—2)

დაიბეჭდა მეორე გამოცემით

ᲘᲐᲕ-ᲜᲐᲜᲐᲛ ᲠᲐ ᲰᲥᲛᲜᲐ

მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა.

წიგნი შემკულია რვა სურათით, რომელნიც მკითხველს თვალწინ უდგენენ: 1) ზურაბ ქართველაძეს და მისს ცოლს პატარა ქეთოთი, როდესაც ქმარი უკრავს თარზედ და ცოლი დამღერის; 2) ქეთოს მოტაცებას ტყეში ლეკებისაგან; 3) ქეთოს ყიდვას ნაიბისაგან; 4) ქეთოს მოტაცებას ათის წლის შემდეგ მამის მიერ; 5) ქეთოს მოყვანას შინ; 6) დედა მღერის „იავ-ნანასა“ და ქეთო გონზედ მოდის, ცნობულობს დედას და იგონებს თავისს ბავშვობასა; 7) ქეთო ხელებ გაშლილი მირბის დედისაკენ; 8) დედა და შვილი ერთმანეთს ეხვევიან. წიგნი ისყიდება დამკვეთელთა წიგნის მაღაზიებში: ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში ბეჟანეიშვილთან და ჭილაძესთან, ოზურგეთსა და სენაკში თავართქილაძესთან. ფასი ყველგან ორი შაურია. (10—8)

Дозволено цензурою, Тифлисъ 17-го Января 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ.